სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/60

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2025

სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის, ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტისა და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 19 ნოემბრის №0001645302 და 24 ნოემბრის №0001668085 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 24 ნოემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საშტატო განრიგში, კერძოდ:

1.1. მთავარი სპეციალისტი იწოდებოდეს ფინანსური ანგარიშსწორების მთავარ სპეციალისტად (0.5 საშტატო ერთეული);

1.2. უფროსი სპეციალისტი იწოდებოდეს რისკის მართვის სპეციალისტად (0.5 საშტატო ერთეული);

1.3. სპეციალისტი იწოდებოდეს ფინანსური ანგარიშსწორების სპეციალისტად (0.5 საშტატო ერთეული).

2. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის საშტატო განრიგში, კერძოდ:

2.1. საწარმოო ტექნიკური ჯგუფის ტექნიკოსი იწოდებოდეს მუშად (0.5 საშტატო ერთეული);

3. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგში, კერძოდ:

3.1. დამხმარე პერსონალის კომენდატი იწოდებოდეს ინჟინერ-ელექტრიკოსად;

3.2. დამხმარე პერსონალის ინჟინერი იწოდებოდეს ქიმიკოსად (1.0 საშტატო ერთეული);

4. ზემოაღნიშნული ცვლილებები განხორციელდეს არსებული ხელფასების შენარჩუნებით და სახელფასო ფონდი რჩება უცვლელი;

5. განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2025 წლის 1 ნოემბრიდან;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**